საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/12

12 12 2016 წ.

ნ. ი. ქარქაშაძე 12.12.2016წ.
ვ. ნ...

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს

ბატონ *გიორგი ბერიძეს*

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2016 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრისათვის – დავით თარხან-მოურავისათვის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი და მოამზადა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „დავით თარხან-მოურავისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ";
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნას;
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2016 წლის 12 დეკემბრის №3 სხდომის ოქმის ამონაწერს.

გთხოვთ, წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე გატანის მიზნით მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 3 - ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია

უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოსული 09-01-14/137
12.12.2016წ
ფურცელი 4

09-01-08/61
12.12.2016
4

0909/11/3203
1
12 12 16

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/12

12 12 2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის დავით თარხან-მოურავისათვის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2016 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის დავით თარხან-მოურავისათვის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადების საფუძველზე. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დაადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის დავით თარხან-მოურავის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე 2016 წლის 30 ნოემბერს წარდგენილი განცხადების (№09-02-11/2989) ნამდვილობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს დავით თარხან-მოურავს ვადამდე შეუწყდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

დანართი: -1- ფურცელი

კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2016 წლის 12 დეკემბრის №3 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრისთვის – დავით თარხან-მოურავისათვის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინოს კომისიის დასკვნა, ხოლო უმაღლეს საბჭოს – დადგენილების პროექტი - „დავით თარხან-მოურავისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.
2. დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

დავით თარხან-მოურავისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დავით თარხან-მოურავს ვადამდე შეუწყდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2016 წლის
№